

# შინაური საქმეები.

№ 36.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

კვირა, 21 ოქტომბერი 1912 წელი

ფოქვალ-ქვირული გაზეთი

**შინაური საქმეები**

სხეუმი № 17). და თბილისში კამონტეულის სომხის პაზარში, სომხანასის ქუჩის მდებარეობა. გამოცემა უფასოა.

**გაზეთის ფასი:**

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.
ნახ. წლიური:	2 მანეთი.	სამი თვე:	1 მანეთი.
		ერთი თვე:	2 აბანი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიური ფასის მოწოდების შემთხვევაში ანუ განაწილდეს: თოვლიან 2 მ. და 1 იანვარს 2 მ. განსაკუთრებით ფასი წინა გვერდზე პეტროვი სტრეტი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შანაურა საქმეების“ რედაქცია.

**შინაური:** 1. რომელსა აქვდეს ყურნი სმენად და გონება გულისხმისყოფად — ისმინენ და გულისხმა ჰყვენ — ეპისკოპოს დავითისა; 2. გზა ქრისტესი — მღვ. იოანე ლუკიანოვისა შ. კრიტიკა. ეკატერინე გაბაშვილისა — ხომლელისა; 3. თავის მკვლევლობა — იათოზისა; 4. კვირიდამ-კვირამდე; 5. ომის ამბები; 6. სიტყვა, თქმული 1912 წ. 5 აგვისტოს ქვაშეთის წმ. გიორგ. ეკლესიაში ხახანაშვილის პანაშვილის გადახდის წინ — დეკ. კ. ცინცაძის; 7. ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ — გ. მანაბელისა; 8. პასუხად ბ. შოკეთს — მღვ. თომა დუგლადის; 9. მასწავლებლებს ჯამაგირისთვის ხშირი მგზავრობა უმძიმეს — ტისკიდელისა; 10. საეკლესიო კითხვების განმარტება; 11. წერილები რედაქციის მიმართ; 12. მადლობის გამოცხადება.

რომელსა აქვდეს ყურნი სმენად და გონება გულისხმისყოფად — ისმინენ და გულისხმა ჰყვენ..

„ვგონებ... ღმერთმა ჩვენ მოციქულნი გამოგვავჩინა, ვითარცა სასიკვდილნი, რამეთუ გამოგვჩინა საკიცხველ სოფლისა. ჩვენ უპატიოებასა შინა ვიმყოფებით; ვიდრე დღეინდლად დღედ გვშია, გვწყურია, შიშველ-ვართ და ვიქნებებით, — და განუსვენებელ ვართ და ვშვრებით და ვიქმთ ხელითა ჩვენი. გვდევნიან ჩვენ, ბოროტსა იტყვიან ჩვენთვის... გვაგინებენ“ (კორ. 1 თ. 4, მუხ. 9-13).

აი რაზე დამყარდა ქრისტიანობა! აი რის მიზეზით დაინერგა, გაძლიერდა და გაიზარდა ქრისტეს მოძღვრება პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა! აი რით იძლია მსწავლული, ძლიერი და ამპარტავანი წარმართობა!

ღიადი ზნეობრივი ცვლილება მოახდინა

კაცობრიობაში პირველ ქრისტეს მიმდევართა გადაწყვეტალებში, რომ საზოგადო კეთილდღეობისათვის დაეთმინათ ყოველნაირი შრომა, ნაკლულევანება და ტანჯვა. იგინი გამოვიდნენ საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე, დაიწყეს უწყება ქვეშარიტებისა საყოველთაო სიბნელეში, ხელი მიჰყვეს სიმაართლისა და სათნოების თესვას საშვალ ურწმუნოებისა და ამისთვის წინდაწინვე უარყვეს პირადი ცხოვრება, ცხოვრება კმაყოფილებაში, მოსვენებაში და ფუფუნებაში, და არა თუ მხოლოდ ეს, არამედ იგინი წინდაწინვე შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მათ წინამდებარე მოღვაწეობაში ქრისტეს სახარების საქადაგებლად მოელის მწუხარება, ტანჯვა და სიკვდილი. და მართლაც, მთელი მათი სიკაცხლე, მთელი მათი მხარებლობა იყო ერთი განუწყვეტელი უძღვროება და მოწამეობა. თუ იმათ თავის საკუთარი პირადი მიზნები და სარგებლობა ჰქონოდათ სახეში, თუ მათ თავის პირად კეთილდღეობისათვის, იუნდ დალიან მკირდისათვისაც, მორიდებოდნენ ლანძღვა-გინებას, დევნას, თუ მათ წინდაწინვე გადაწყვეტილი არ ჰქონოდათ დაეთმინათ შიმშილი, სიცივე, სიშიშველე და გვემა, მაშინ ისინი ვერ შეასრულებდნენ თავის მისიას, თავის დანიშნულებას, ვერ განახორციელებდნენ თავის დიად იდეას, ვერ გადააკეთებდნენ კაცობრიობის ცხოვრებას, და მოძღვრება ქრისტესი, მიუხედავად თავის აღმატებულებისა, მიუხედავად თავის ბრწყინვალეობისა და სიღიადისა, ვერ შეიძლება შეთვისებოდა კაცობრიობას, ვერ შეიქნებოდა საკაცობრიო მაცოცხლებელ ძალად, არამედ დარჩებოდა ადამიანთა მკირე წრეში, ხოლო შემდეგ, შესაძლებელია, სრულიადაც განქარდებოდა.

ღიახ, ღიადნი საქმენი, კეთილმოწყალეობანი კაცობრიობისადმი, ადამიანთა ცვლილება და განკეთილშობილება შეიძლება მხოლოდ სრული უანგარო და თავგანწირული მოქმედებით. ბრწყინვალე მაგალითები სრული, საკუთარ სისხლის (და არა სხვისი სისხლის) დაღვრამდე, ერთგულეობა საზოგადო საქმისადმი, საზოგადო სიკეთის აღშენებისადმი, მოციქულების და საზო-

გადოთ პირველ ქრისტიანეთა ცხოვრებიდამ დიდ საყვედურად გვიდგია თვალწინ. ჩვენ, რომლებიც ვალდებული ვართ ცოტათი მაინც მივხედოთ ქრისტეს მოწაფეებს, მხოლოდ საკუთარ ცხოვრებითა ვართ გართული, საკუთარ კეთილდღეობის მოწყობით, ვიღვწით, რაც შეიძლება მეტი, ამ ქვეყნიური კმაყოფილება და სიხარული მოვიხვეჭოთ. ჩვენი ინტერესების და პირადი სარგებლობის, რომელიმე მათგანის მაინც, საზოგადო ინტერესების და კეთილდღეობის შესაწირად, მით უმეტეს მძიმე განსაცდელთა მისაღებად, ჩვენ განწყობილი არა ვართ. მართალია, ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი პირები, რომლებიც ვითომ ზოგად სიკეთისათვის ცთილობენ, მაგრამ იგინი მოქმედობენ საზოგადოების სასარგებლოთ იმ დრომდ, სანამ წინ არ გადაელობებათ მწარე უსიამოვნება. იმ შემთხვევაში კი, თუ მათ მძიმე განსაცდელი და მით უმეტეს სიკვდილი მოელისთ, მყისვე სწყვეტენ თავის მოღვაწეობას.

ღიახ, არ არიან ჩვენ შორის თავგანწირული მუშაკები—მსახურნი სიმაართლისა და ზოგადი სიკეთისა, არ არიან გმირები სულისა, არ არიან ერთგულნი ქრისტეს მცნებისანი თავისა თავისისა მსხვერპლად შემწირველნი, და ამიტომაც ჩვენი ცხოვრება კეთილ-განწყობილი არ არის, არაა მაში წესრიგი, მშვიდობა და სიხარული. ჩვენ ყველანი უფროთხილდებით ჩვენ მოსვენებას, ჩვენ შემოსავლიან ადგილს, ჩვენ ჩინ-ორდენებს, ჩვენ ოჯახურ ბედნიერებას, ჩვენ ხორცს, და ამიტომაც ურიგდებით მრავალგვარ არეულობას ჩვენ ცხოვრებაში, თავს ვიმახინჯებთ და სხეასაც ვამახინჯებთ, მაგრამ უფრო სამწუხარო ისაა, რომ სასულიერო პირნიც კი არ სდგანან საერო პირებზე მაღლა, ისინიც ჩაფლული არიან ქვეყნიურ ეგოისტურ ფრქვთა და ზრუნვაში; არავითარი იდეური, არავითარი აღმაფრენა იდეალურ ქვეყნისადმი მათ ცხოვრებას არ ემჩნევა!

ფრიად სამწუხარო მოვლენაა! ვის-ურვოთ, რომ ჩვენ შორის გამოვიდეს, თუნდ რამოდენიმე მაინც, თავგანწირული მებრძოლი ქვეშარიტებისა, ზოგადი სიკეთისა და ქრისტეს ანდერ-

ძისათვის, რომ დამშვიდდეს და დატკბეს ჩვენი ცხოვრება.

მაშ საჭიროა მოწამენი, ღიახ მოწამენი!...

გვეყოლებიან იგინი?

ეპისკოპოსი დავითი.

### ბზა ქრისტესი.

(გაგრძელება \*)

გ ა მ ო ხ ს ნ ა .

IV

ყველა ეს უმაღლესი სიკეთენი მოგვანიჭა ჩვენ გოლგოთის მსხვერპლმა... ღმერთსა სძაგს ბოროტება... უფალი იესო ქრისტე, ევნო-რა ჯვარზე ჩვენთვის, ამითი მოსპოა ძველი განუწყობლობა ჩვენსა და ღმერთს შორის, დააკმაყოფილა აბსოლიუტური სიმაართლე ღვთისა... რა თქმა უნდა, ღმერთს თავისი ყოვლად შემძლებლობით შეეძლო ერთ წამს გაეწმიდა და აღედგინა მთელი კაცობრიობა; მაგრამ ამისათვის ყველაზე პირველად საჭირო იყო მოსპობა კაცის თავისუფლებისა, რომელიც არის საფუძველი მისი მომავალი დიდებითი მყოფობისა; ეს—ეი წინააღმდეგი იქნებოდა ღვთის სიბრძნისა და სახიერებისა... ღმერთს ნებაედა დაედლია ბოროტება არა თავისი სასწაულთმოქმედი ძალის გარეგანი გამოცხადებით, არამედ თავისი შინაგანი მოქმედების შეთანხმებით ადამიანთა თავისუფლებასთან...

კაცობრიობა რომ თავის ცოდვებისთვის თითონვე დატანჯულიყო, ამითი იგი მხოლოდ ღირსსა თავის საქმეების თანახმად მიიღებდა (ლუკ. 23, 41). ამიტომ ღვთის სიბრძნემ და სახიერებამ ამოირჩია სხვა საშუალება, რომელმაც სრული გარდამეტებულებით დააკმაყოფილა ღვთის ყოვლად წმიდა სამართალი და იმავე დროს აღმოჩნდა დაუშრეტელ წყაროდ კაცობრიობის საუკუნო ზნეობრივი გაკეთილოვანებისა...

კაცობრიობა ქრისტესი, როგორც მხოლოდ-შობილისა ძისა ღვთისა, ღვთის სიმაართ-

\*) იხ. „ზინ. საქმ.“ № 35.

ლის თვალში იყო განუსაზღვრელად ძვირფასი მთელ კაცობრიობაზე. ჟურცლის ერთი გვერდი, ბრძენის გვერდი, ბრძენისაგან დაწერილი, ღირს მთელ მილიონ ტომებად ყოველდღიური უგვანო ლიტერატურისა. იტანჯა არა ქრისტე ღმერთი, მარადის „მყოფი ზეცას“ და არა ქვეშემყოფი ტანჯვისა (ტანჯვა არის ერთ-ერთ ფორმა და მოვლენა ქმნილებრ-შეზღუდული ცხოვრებისა, და ცოდვით დაცემის წინათ იგი არ არსებობდა). არამედ კაცი-ქრისტე, „ძე კაცისა“, რომელმაც შეაერთა თავის ხორცში მთელი კაცობრიობა წარსულისა, აწმყოსი და მომავალისა... ამნაირათ, გოლგოთას მსხვერპლი ღვთისა-მიმართ იყო მაინც მსხვერპლი კაცობრიობისა, აღყვანილისა ქრისტეს ღვთაებრივი სიწმიდის და სრულ ყოფის სიმაღლემდის...

ღვთაებრივი გამოხსნის სიმაართლემ მოგვიტანა ყველაზე პირველად ყველაზე დაუფასებელი ძღვენი ზეცისა; ბარძიმი უფლის ხორციითა და სისხლით...

როდესაც მოწმუნებები ეზიარებინ იმას მოწიწებით, ისინი ყოველთვის გრძობენ ყოვლად შემძლებელ ძალას ღვთისას, და თანდათან უფრო და უფრო ძლიერ მტკიცდებიან სასიხარულო იმედში მკვდართა ნათელშემოსილ აღდგომისა დაუსრულებელის ნეტარი ცხოვრებისთვის ზეციერი მამის სასუფეველში... წმიდა ბარძიმი ეუბნება მათ, რომ ქვეყნიური ცხოვრება მათი არ არის ნამდვილი ცხოვრება, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა ამ ცხოვრებისა... ქრისტე მაცხოვარი ეწვალა ჩვენი ცოდვებისთვის, და მით გვაჩვენა, რომ ქვეყნის ტანჯვას აქვს გაწმენდელი და სამკურნალო მაცხოვრებელი ძალა; დაჰყო-რა სამ დღეს საფლავში (აქაც ნიშნებაა წმ, სამების საიდუმლოზე); აღდგა, როგორც ღმერთი ყოვლად-ძლიერი... აღდგომა ქრისტესი—ეს შუაგულია ქვეყნიური ცხოვრებისა?.. იგი ნათლად და უძლეველად—დამტკიცებით გვიხატავს ჩვენ იმ კვშმარტებას, რომ ქვეყნის ცხოვრება, მთელი მისი ტანჯვა წვალებით და საიდუმლოებრივი ამბებით, უშიზო არ არის; იგი მწიფდე-

ბა სხვა, უკეთესი ცხოვრებისთვის, და მიდის ტანჯვის გზით — აღდგომისაკენ!.. აღდგომა ქრისტესი და წმიდა ბარძიმი თითქოს განეზავებინან ერთს ნათელგაბრწყინებულ მთლიანობაში... „შენ, რომელი დასთვის, არა ჰსცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკვდეს. და რომელი იგი დასთვის, არა თუ იგი გვაში, რომელ ყოფად არიან დასთვის, არამედ შიშველი მარცვალი, გინათუ იფქლისა, ანუ თუ სხვა, რომელიმე თესლი. ხოლო ღმერთმან მოსკის მას გვაში, ვითარცა უნებნ, და თვითოეულსა თესლსა თვისი გვაში“ (ა. კორინთელთა, 12, 36—38). თვით დაფარულობა ქრისტეს საიდუმლოთა გვაჩვენებს, რომ გული ცხოვრებისა არა ჩვენს გარეთ არის, არამედ შიგნით... „სასუფეველი ღვთისა თქვენ შიგნით არს“, — ამბობს ქრისტე მაცხოვარი. როდესაც ჩვენ ვეზიარებით ქრისტეს ყოვლადწმიდა სისხლსა და ხორცს, — მაშინ ჩვენ ვგრძნობთ არა ჩვეულებრივ-სასიხარულო, ძლევითი-სანეტარო, სიყვარულითი-განმაახლებელ ძალას ღვთისას... გინდა მაშინ გადაეხვიო მთელ ქვეყანას, ყველას და ყოველივე აპატიო, გინდა მთელი ცხოვრება გახადო ერთ დღესასწაულებრივ გალობად სიყვითისა და სიმართლისა, წახვიდე ჯვარზე და წვალემაზე ზეცის საუკუნო სიწმიდისათვის...

მაშ, მტკიცედ გახსომდეს, ქრისტიანო, რომ შენი სიხარული არის ღმერთი და სიწმიდე სულისა, და არა გარეგანი ქვეყნიური სიკეთენი!.. ამისთვის არა გვეწყინების; არამედ დაღათუ გარეშე ესე კაცი ჩვენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი-დღედ“. (ბ. კორინთ. 4, 16).

ბევრი საშუალება გვაქვს ჩვენ მოკვებული ცხოვრებისათვის. ჩვენ ყოველთვის გვაქვს თვალ-წინ სრული მავალითი სიყვარულისა, სიმართლისა, თავმდაბლობისა ჰომინებისა, სიმშვიდისა, ღვთისცნობისა და იმედისა — ქრისტე მაცხოვრის პიროვნებაში...

ღვთის გზა, ბრწყინვალე, საუცხოვოდ-მშვენიერი, გზა ქრისტესი ხსნილია ჩვენ წინ...

წაივადეთ მაშ უფლის კვალზე საუკუნო სიყვარულისა და ბედნიერებისაკენ!..

მღვდ. იოანე ლუკიანოვი

## კ რ ი ტ ი კ ა. ეკატერინე ვაზაშვილისა.

VII.

გულდასმით გადავიკითხე თხზულებანი ეკატერინე ვაზაშვილისა და დავრწმუნდი. რომ ეს გულწრფელი და მეტად გრძნობიერი მწერალი მანდილოსანი ორს საგანს ემსახურება: სიყვარულს და სოფლის გლეხ-კაცობას.

თვალი გადავავლოთ მის პატარა ნაწერებსაც, რომელსაც „ლექსი პროზად“ ეწოდება, სადაც დავინახავთ, თუ რა მაღალ პოეტურ, ალტაცებულ ჰიმნს უგალობს ავტორი სიყვარულს.

„რიერაჟია. მზის ბრწყინვალე სხივებს ოდნავ ამოუყვიათ თავები შორეულ მთების ზოლიდან და აღისფერი პირ-ბადე გადაუფარებიათ არე-მარესთვის. პირ-ბადის ქვეშიდან, უმანკო პატარძალივით, მკრთალად გამოსჭვივის ტურფა: სურათი გაზაფხულისა და კაცის გულს სიტკბოებით და სინაზით ავსებს, გონებას აოცნებებს, სიკოცხლეს ასულდგმულებს. დილის ნიავ-ქარი ოდნავ არხვეს სურნელოვანებით შეზავებულ ჰაერს და ხის ფოთოლნი ამ რხევაზედ ჰარმონიულად ბიბინ-შრიალებენ, ანკარა ჩახრილა ლულუნ-ჩუხჩუხებს და მის გარშემო ატეხილ ვარდნარზე ბულბული ჯუშტვენს დაბლა, განაბულის ხმით, თითქოს ეშინია, რომ ბუნების შვენიერი გამოღვიძება მეტის ხმაურობით არ დაარღვიოს... აი, შორიდან მოისმა წყნარი, გულსაკლავი, მკენესარი სალამური!..

აივანზე ღვას გადაყუდებული თექვსმეტი წლის განო და გადაჰყურებს ამ თავისავით უმანკო, შვენიერს სურათს; მის თეთრ კისეის სუბუქ კაბას დილის ნიავი არხვეს ფურცელივით, მის პირისახეს, მზის მკრთალი სხივი აე-

ღვარებს, ნათელს აფრქვევს, მზისავე სხივებით განათებული წაბლის ფერი თმა ოქროს რკალივით გარს შემორტყმია იმის კეკლუცს თავს; წყნარი, სანეტარო ტკბილი ღიმილი ოდნავ უპობს ვარდის ფერ ბაგეს პატარა განოს.

რას გაუღვიძებია ასე ადრე ეს ტურფა ბაღლი? ვის უღიმის ამისი ბაგე? რას ჩაუფიქრებია ამისი ნაზი ჟუჟუნა თვალები? რადაგრძნობს მარტო დღეს ასე სავსებით ამ ბუნების შევნიერებას? რად არის ასე გაორკეცებული ამისი ყნოსვა ვარდის შესახებ, რად ეუბნება იმისი პატარა გული ასე კარგად ბანს ბულბულის სტვენას, წყაროს ჩხრიალს, ნიავის თრთოლვას?

მაისის ბრწყინვალე მზემ, მისმა ძალოვანმა თფილმა სხივმა, განოს გული სიღრმემდისაც მიღწია ჩაანათა, გაათბო და იქ ააღორძინა, დააკოკრა და ააყვავა ის ტკბილი, უკვდავის სამოთხის ვარდი, რომელსაც სიყვარულს, ნეტარებას ეძახიან.

განოს უყვარს, განო ეტრფის. წუხელ მთვარის შუქზე, ამ მიჯნურობის აუცილებელ მოწმის შუქზე, განომ პირველად იგრძნო, რომ მისი გული თანაუგრძნობს იმის გულს, რომ მისი სული იმის სულს თავს დასტრიალებს და მისი გონება ამაზე კარგს ვერასა ჰპოვებს“ (გვ. 232).-

კარგათ, დიდი ლაზათით აღწერს ავტორი სოფელში გაზაფხულს, სადაც უმანკო განოს გულში სიყვარულის პირველი ნიჭი „აყვავებულა და დაკოკრებულა“, რომელიც სავსებითა ჰგრძნობს ბუნების შევნიერებას და ბულბულის სტვენას ბანს აძლევს“.

აბა, დააკვირდით ამ სურათს, რა კობტა ჩინებული აღწერილობა მოგვცა ავტორმა ჩვენი საყვარელი ქართლის ბუნებისა: „რიერაჟი არის, ნისლით შებურვილ მთის წვერზე ვდგვარ. გული დაწყნარებით სცემს, გარემოცული ჰაერი ფილტვებს ალაღებს, აფართოებს, სისხლს აღელვებს და აჩუჩუხებს. ნისლში ოდნავ ჩანს ცა და ქვეყანა... მაგრამ აგერ პირდაპირ ბუმბერაზ მთისკენ ცა შეიღება, მკრთალ ვარდის ფერად შეიმოსა, და გარემოცულს ბუნე-

ბას რაღაც მომზიბლაევი, საიდუმლოებით სავსე ელფერი მისცა. ნისლი გაფანტა სინათლემ და ჩემ თვალწინ გადიშაღენ თვალუწვდენელი მიღორნი, ველნი, ტყენი, მდინარენი კლდიდან კლდეზედა მხტუნავნი... ირგვლივ მორტყმულ მთის კალთებს ამკობენ ზურმუხტოვანნი ვენახნი, ბაღნი, ქანდარნი, რომელთა შორის აქა-იქ მოჩანს. როგორც ყვავილი მდგლოსი, ხალხის ნაგებნი სადგურნი (თუ სადგომნი?).

სრული ღუმილი ჩემს გარშემო. არ იძვრის სიო, არ იძვრის მკერდი ადამიანისა, მხოლოდ ბუნებას შევნიერს, მდიდარს, ტურფად მოკაზმულს, ვუმზერ და ვუმზერ. მთლად გამიტაცა სურათმა ვრცელმა, დიადმა, აღარ მაქვს ღონე თვალი ვაშორო შევნიერს მხარეს, კაცთა სამფლობლად და სასიხარულოდ უფლისაგან გაჩენილს.

მაღე მზემაც ამუაშუქა და თავისის ბრწყინვალე შუქით ნათელი მოსდო, გამოაღვიძა ეს რემარე: ფრინველნი ტყისა, ქალისა, იაღონთა გუნდი, ბულბულნი, შაშვნი, შავარდენნი თითქოს ამ სინათლეს ელოდენ, რომ ხმა მიეცათ ურთიერთს, თავისის სტვენით ქება შეეხათ შემოქედისათვის...

ვდგევარ და ვსტკებები, ვსტკებები და ვდგევარ ამ დიდების, შევნიერების, განუწვდენელი უფლის ქმნილების სამოთხის წინა. თვალნი ჩემნი არ ილღებიან, გონება ჩემი კმაყოფილია, სული ჩემი აღტაცებულია... მხოლოდ გული კი რაღაცას ელის, ელის და ელის. რას ელის? რად ცალიერობს გული წყეული, როდესაც თვალი, სული, გონება კმაყოფილია? რა აკლია სრულსა სამოთხეს ამასა?— შენ, შენ სატრფოვ გულისაგო, შენ გვირგვინო ყოველის ნეტარებისავე, დიდების, სიმდიდრის, სიშვენიერისას, შენ, საყვარელო, ტკბილო, უებროვ კაცთ სურვილთა შორის.

შენ გემიებს გული საპყარი ყველგან, სადაც კი სიციოცხლე სუფევს, სადაც კი შეფობს შევნიერება და, აი, ბოლოს იქ შორს, შორს სადღაც, ნათელის შუქით გარს შემორტყმული, მთის კალთებზე, ზურმუხტთა შორის, შენ მე მიხილე და მხოლოდ მაშინ და უნა-

ლულოდ ვცან ნეტარება, ბედნიერება და სიხარული

მუხლთ მოვიდრიკე, ხელს გეამბორე და მხოლოდ მაშინ ვცან სამოთხე, ზეცამდის ამადლებული“. (გვ. 380).

ადამიანის უსაზღვრო გაუტანლობით და დიდი საზოგადოებით, ამასთანავე საზოგადოების, სოფლის უსამართლობით მწარედ გულმოკლული ჩვენი რომანტიკოსის გამოუცდელი გმირები სიკვდილში, „საზარელ, მაგრამ ნამდვილ და საუკუნო განსასვენებელში“ ჰპოებენ. პავლე მაროს საუკუნო შეერთებას სიკვდილის შემწეობით აპირებს. თუ აქ არა, იქ ხომ შევეყრებით ერთმანეთსო“ (რომანი დიდ ხევში“). კონამაც სიკვდილში ჰპოვა გათავისუფლება. ქუჩეც თავის შვილს მიწაზე დაანარცხებს, რადგან მის ხსნას სიკვდილში ეძიებს. შაქროც აგრეთვე სიკვდილს მიმართავს, რადგან „უნამუსო სიკვდილს სიკვდილს ამჯობინებს“. სიკვდილის შემწეობით უბედური თინათვის ობლებს ლუკმას გაუჩენს. კახეთს წასული მასწავლებელი ლამაზი ლიზაც, რომელმაც თვისი ქალწულობა ასე უგანაჩენოთ დაღუბა, თბილისს მოდის და მტკერის ზვირთებში პოულობს საუკუნო განსვენებას. „სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხლებს საშინელს სურათს და გაახსენებს სოფლის ამოებას“ (გვ. 493).

როგორც ხედავთ, ბუნების და ადამიანთა საზოგადოების ამგვარად დაპირდაპირებაში ეანთეაქარუსოს რომანტიზმია გატარებული.

დადათ პატრიცემულ მწერალ მანდილოსანს ენა საერთოთ შეენიერი აქვს. ცოცხალი, სიბუჭი და საკმაოდ მდიდარი იმისი ენა წმინდა ანკარა მთის წყაროს წყალივით მოჩუხჩუხეა. შეითხველს უფრო ეს ლამაზი ქართული ენა იზიდავს თვისი კობტა გამოთქმით და აყვარებს ვეტორს დიდი სიყვარულით. თუმცა ზოგიერთი უხერხული და უკანონო სიტყვების ხმარება, როგორც მაგალითად, ვჩადივარ ჩავდივარის მაგივრად, ამშვეენებს აშვენების მაგივრად, სადგური (Станция) სადგომის მაგიერ და სხვ. უნდა აღვნიშნო. მართალია,

გვ. ვაბაშვილის ნეწერებს ახასიათებს ენის უბრალოება, სიადვილე და სიმდიდრეც ქართული ენისა, მაგრამ დიდათ დამუშავებულ მხატვრულ სალიტერატურო ენად მაინც ვერ ჩავთვლი მის ცოცხალ, მხიარულ ენას...

სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა მაინც-და-მაინც ყურადღებასაც არ აქცევს მხატვრული ენის დიდს საჭიროებას, და ეს გარემოება გამოწვეულია, ალბად, ან მხატვრული ენის უქონლობით, ან საზოგადოთ, ქართული ენის უცოდინარობით...

ხომლედი.

თავის მკვლევლობა

(ლ. ნ. ტფისტიას წერილიდან)

კითხვა იმაზედ, — აქვს თუ არა საზოგადოთ კაცს უფლება თავის მკვლევლობისა, პირდაპირ ვერ არის დასმული. უფლებაზე აქ სიტყვაც არ შეიძლება ითქვას. თუ შეუძლია სჩანს უფლებაც აქვს; მხოლოდ ამ შეძლებასთან კაცს არ აქვს უფლება, (აქ შეიძლება ილაპარაკოთ უფლებაზე) სთქვას, რომ მისთვის ცხოვრება აუტანელია.

ვინაიდან შეუძლებლად ეჩვენება ცხოვრება, თავს იკლავს და მისდათავად ცხოვრების შეუძლებლობა-აუტანელობაზე სპობს ლაპარაკს. კაცს თავის მოკვლა ბევრ გვარად შეუძლია, ჩხუბში, დავლურში, პირდაპირ თავის ხელით, ალკოგოლით, თამბაქოს წვეით, გარყენილებით და სხვა და სხვა. ამის უფლებაც აქვს, მაგრამ კითხვა თავის მოკვლის შესახებ მხოლოდ ასე შეიძლება დაისვას: აზრიანი და ზნეობრივია თუ არა თავის მოკვლა?

მე ვამბობ: არ არის, — თავის მოკვლას არავითარი აზრი არ აქვს; ისე როგორც უაზრო და უქეუობა იქნება, კაცმა, იმ ხეს, რომლის მოსპობაც სურს, ტოტები შეაქრას. იგი ამით არ მოისპობა, არამედ უსწორმასწოროდ დაიწყებს ზრდას

სიკოცხლე მოუსპობელი რამ არის, იგი დროსა და სივრცეს არ ექვემდებარება და მის გარეშე სდგას, და ამისთვისაც, სიკვდილი სცვლის

მხოლოდ მის ფორმას, სპობს ამ ქვეყნიერად მის გამოცხადებას.

მაგრამ, როდესაც მე ვსპობ მის ამ ქვეყნად ყოფნას, პირველად, მე არ ვიცი, იქნება თუ არა საიქლოს სიკოცხლე ჩემთვის ასატანელი და სასიამოვნო და მეორეთ, ვაკლებ ჩემს „მეს“, გაიგოს და იგემოს, ყველა ის, რაც შეეძლო შეეძინა ამ ქვეყნად სიკოცხლის ბოლომდის.

გარდა ამისა, ყველაზე უმთავრესად, ეს უაზრობაა, მისთვის რომ, როდესაც მოვისპობ სიკოცხლეს მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ჩემთვის აუტანელი და უსიამოვნოა, — მე მით ვამტკიცებ, რომ მე ჩემი სიკოცხლის დანიშნულებაზე შემცდარი შეხედულება მქონია; ვითომც იგი, მარტო ჩემდა სასიამოვნოთ მქონდეს მოცემული, იმ დროს, როდესაც მისი დანიშნულება არის ერთი მხრით პირადი სრულყოფა, ხოლო მეორე მხრით, — მსახურება იმ საქმისადმი, რომელიც სრულდება მთელი ქვეყნიერების სიკოცხლით: ამიტომ თავის მოკვლა უზნეოც არის. კაცს აქვს მიცემული მთელი სიკოცხლე და შეძლება — იკოცხლოს უღრმეს მოხუცებულობამდის, მხოლოდ იმ პირობით, რომ მან გაუწიოს სამსახური საერთო ქვეყნის ცხოვრებას.

ის კი სარგებლობს სიკოცხლით მანამ, სანამ ეს მისთვის სასიამოვნოა და ისპობს სიკოცხლეს იმ წამსვე, როგორც მას ეჩვენება აუტანელ — უსიამოვნოდ; მერმე როგორ დროს! თითქმის სინამდვილით შეიძლება ითქვას, რომ მისი მსახურება ქვეყნის სიკოცხლისადმი, იმ წამს დაიწყა, როდესაც მას სიკოცხლე უსიამოვნო და აუტანელი ეჩვენა, ვინაიდან, ყოველივე საქმე და შრომა თავდაპირველად უსიამოვნო და ძნელია.

ოპტინის უდაბნოში ოც და ათ წელზე მეტ ხანს, იატაკზე ეგდო დავლა — დაცემული ბერი, რომელსაც მოძრაობა მხოლოდ მარცხენა ხელშია შერჩენოდა. ეკიძები ამტკიცებდნენ, რომ ავთმყოფი უთუოდ დიდ სულიერ ტანჯვა-მწუხარებას განიცდისო; მაგრამ იგი არამც თუ სწუხდა და საყვედურს აცხადებდა ამ გეარ სიკოცხლეზე, არამედ მარცხენა ხელით პირჯვარს იწერდა, ღიმილით შესჩერებოდა ხატებს და ჰმადლობდა ღმერთს იმ სიკოცხლის ნაპერწყალისათვის, რომელიც კიდევ ოდნავ ბეუტავდა მის ცოდიელ სხეულში.

ათასობით მნახავეები მოდიოდნენ მასთან და ძნელი წარმოსადგენია ყველა ის სიკეთე, რომელიც ვრცელდებოდა მის გარეშე და ქვეყნიერობაზე ამ, კაცობრივ მოძრაობი — მოკლებულ, ადამიანისაგან.

ნამდვილად ამ კაცმა მეტი სიკეთე ჰქნა ქვეყნის სიკოცხლისათვის, ვინემ ათასმა და ათი ათასმა ჯანმრთელმა ადამიანმა, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ სხვა და სხვა დაწესებულებაში ისინი ემსახურებიან ქვეყანას.

მაგრამ ქვეყნის სამსახური კაცს შეუძლია სრულყოფობისაკენ მისწრაფებით, ხოლო სრულყოფა ქვეყნის სამსახურით.

იათეოზი.

## კვირიდამ-კვირამდე.

ცირკულიარი.

იმერეთის ეპარქიალიური კანცელარია მისი მეფეების ბრძანებით სთხოვს ყველა ბლალჩინებს გამოუცხადონ ყველა 1908 წლიდან ნაკურთხ მღვდლებს, რომელთაც სამღვდლო გრამატა არ აქვთ მიღებული, დაუყონებლივ გამოცხადდენ გრამატის მისაღებად.

ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის სამღვდლოებს დაუგზავნა მიწერილობა იმის შესახებ, რომ 13, 14, 15, და 16 ოქტომბერს და 26 და 27 იანვარს ეკლესიებში მლოცველთა შორის ფული შეაგროვონ. ეს ფული მიემატება იმ თანხას, რომლითაც ტაძარი უნდა ააგონ ლეიპციგის ომის აღსანიშნავად. ასეთი განკარგულება ქუთაისშიაც მოხდა.

## ბერმონაზონი ილიოდორე.

როგორც ამბობენ ილიოდორეს წერილობით მიუმართავს უწმინდესის სინოდის ობერპროკურორისთვის, საცა შეურაცხყოფელ კილოთი სწერს საბღერს: „ნუ პრეც სამღვდლოების ქუქკიან საპოლიტიკო ბრძოლაში“.

**ბერებს უჩივიან.**

დონის დაბის მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან დონის მონასტრის ბერების ქცევით. ამისთვის მოსკოვის მიტროპოლიტს მიჰმართეს საჩივრით, საცა უჩივიან ბერების ურიგო ქცევას „ფუტბოლსაც კი თამაშობენო“, ნათქვამა საჩივარში.

**სტუდენტების დემონსტრაცია.**

4 ოქტომბერს, როგორც „რუსკია ვედომოსტი“ გადმოგვცემს, მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტებმა დემონსტრაცია გაუმართეს ოდესიდან გადაყვანილ პროფესორს აღმაზოვს, რომელიც კითხილობდა „ეკლესიის ისტორიის“ ლექციას. სტუდენტები ლექტორს სტვენით შეხვდნენ და სტვენითვე გააცილეს.

გადაიკვალა ფაყის (გადმოღმა სვანეთი) სამრევლოს მღვდელი დოროთე ასათიანი.

**ომის აზებუი.**

**სერბიელების ბრწყინვალე გამარჯვება.**

**ბელგრადი.** ოფიციალურ ცნობით, კუმანოვის ბრძოლაში მონაწილეობდა პირველი არმიის ნაწილი. ოსმალების ჯარს, რომელსაც 30000 ჯარის-კაცი შეადგენდა, ეპყრა რამდენიმე პოზიცია. სერბიელები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა სწარმოებდა შიშველ ველზე, მხნედ წინ იწევდნენ. ხან და ხან ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა ხოლმე. 24 საათის ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა გაიმარჯვეს. ოსმალებს მოუკლეს 5000 კაცი. სერბიელების დანაკლისი საგრძნობია. ბრძოლას შეთაურობდა შემკვიდრე ალექსანდრე, იგი ხშირად ხიფათში ვარდებოდა ხოლმე. სერბიელებმა 12 ზარბაზანი ხელთ იგდეს. მეფემ, შტაბის უფროსის თანახმებით ბრძოლის ველი ინახულა. სერბიელების გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აწერენ; ოსმალებს დარჩათ მხოლოდ ერთი უსკიუბის პოზიცია.

**საბერძნეთის მხრივ.**

**ათინა.** საბერძნეთის ჯარი კამბუნით წინ მიდის ხამკონის და ბისტრიცის ველისკენ, ოსმალები უკან იწევიან; დასტოვეს მათ 22 მინდერის ზარბაზანი. სერვისთან ბერძნებმა ბევრი ოსმალო ტყვე შეიპყრეს, ოსმალებმა სერვიაში 70 ბერძენი ამოხოცეს. მათ შორის ერთი მკვდონელია, ეპირის ჯარმა დაიჭირა სოფელი ჩავა, კარახედსი, პორშიციე და პლესკა.

**სტამბოლი.** აქაურ ცნობებით საბერძნეთის მოქმედი ჯარი შეიცავს 100,000 კაცს მათ წინააღმდეგ ოსმალებმა ორი დივიზია გამოიყვანეს. სალონიკში მოელიან ბერძნების დაცემას. ვარნაში გაიგზავნა ოსმალების ტრანსპორტი „პულჯემალი“ 2000 ჯარის-კაცით, ოსმალების ჯარში სახადი მძინვარებს.

**7.000 ტყვე ოსმალო.**

ლონდონიდან იტყობინებიან: ელასონის ციხის აღების შემდეგ ბერძნებს ტყვედ ჩაუვარდათ 7.000 კაცი და მრავალი სამხედრო სურსათი.

**ოსმალეთის მხრივ.**

**მთავრობის განცხადება..**

ოსმალეთის მთავრობამ თავის ელჩებს დავალა: გამოუცხადეთ სახელმწიფოებს, რომ ოსმალეთი ვერც ახლა და ვერც ომის გათავების შემდეგ, ატეხილ დაეაში გარეშეთა ჩარევას ვერ მოითმენსო.

**ს ი ტ ე ვ ა,**

თქმული 1912 წ. აგვისტოს 5 ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ა. ს. ხახანაშვილის სულის მოსახსენებელად გადახდილი პანაშვიდის წინ.

ღვაწლი კეთილი მომიღვაწე ბიეს, სრბამ აღმისრულებიეს, სარწმუნოებამ და მიმარხავს (2 ტიმ. 4, 7).

სრული სიმართლით შეიძლება ითქვას შენტვის, ძვირფასო ალექსანდრეც, ეს სიტყვები მთავარმოციქულის პავლესი. შენ, საშუალო



სასწავლებელში სწავლის დროსვე გარკვეული გქონდა, თუ რომელ ასპარეზზე აღასრულებდი შენს სამძიმო სრბასა. შენ მაშინვე აირჩიე ცხოვრების საგნად—მშობელი ერის წარსული დიდების შესწავლა და ამ დიდების გამომწვევა. შენთან და უცხოთა საცნაურად და სარგებელად. ამ წმიდა საქმეს ემსახურებოდი შენ 25 წლის განმავლობაში და თითქმის აისრულე კიდევ გულის წადილი: შენი წყალობით ჩვენი ერის კულტურა საკმაოდ შეუძლიანთ გაიწონ სხვა ხალხთა და შენმა თანამემამულეებმა... ეცნობოდნენ რა ჩვენს ერის დიდებულ წარსულს უცხოელნი, მაღლიერი გრჩებოდნენ და შენს სახელს პატივით და დიდებით ახსენებდნენ, ჩვენ კი, შენი სისხლი და ხორცი, უმეტეს შემთხვევაში ვერც კი გიცნობდით: აბა გამდმოგვხედე შენი გონიერი თვალით და ჩვეულებრივი გულწრფელობით სთქვი,—ბევრს ჩვენგანს წაუკითხავს ნახევარი, ანუ მეოთხედი მაინცა შენი ნაწერი? აბა მოიგონე, გულკეთილო აღამიანო, ბევრი ჩვენგანი გინახავს შენს ლექციებზე ამ ხუთიოდე წლის წინად რომ ჩამოხვეო ჩვენს დედა ქალაქში და მიუხედავად შენის ავადმყოფობისა აღტაცებით გვაცნობდი ჩვენს ერის თავგადასავალსა? და განა მარტო აქ ვიჩენდით გულგრილობას შენი საყვარელი საგნისადმი შენნი თანამოძმენი? არა, საუბედუროდ, არც იქ, თვით მეცნიერების ტაძარში იყავ შენ განებივრებული ქართველთა ყურადღებით; რამდენჯერ მომხდარა, რომ შენს ლექციას დასწრებია მარტო ოდენ ორი-სამი მსმენელი?

მაშ რა გამოძრავებდა, რა გახალისებდა, რა გაიტლებდა ამოდენა შრომისათვის? მარტოდ მარტო განუხაზვრელი და უნაგრო სიყვარული მამულისა და მისი მომავლისადმი, ის სიყვარული, რომელიც არა ეძიებს თავისას, ეაჯღვას თავს ადებს, ეაჯღვასა მოათქმენს, ვინაჲთგან ეაჯღვდა ჭრწამს (1 კორ. 13, 5—7). შენმა განუზომელმა მამულის სიყვარულმა აგადებინა პირადი ბედნიერებისათვის ზრუნვაზე ზელი, მანვე არ ათხოვა ყური ჩვენს დაუდევრობას და გულგრილობას, და დაევიდა რწმე-

ნა, რომ თუ დღეს არა, —ხვალ, ან ზევ მაინც შეიგნებენ შენნი მამულის შეიღნი სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის საკიროებას, და ამ ხვალინდელის ქართველობისათვის შენ არ ზოგადი შენს თავს და შრომობდი სიციცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ახლანდელ თაობას კი შორითგან გვიტყვროდი, რომ ჩვენი უკუღმართი ცხოვრების შეგ სინამდვილეს არ მოეკლა შენში რწმენა და სიყვარული მომავალი თაობისადმი. ამისთვის არ იყო, რომ არ შორდებოდი მოსკოვს, მიუხედავად შენი მეგობრების რჩევისა, —წადი სამშობლოში, თორემ მოსკოვი მოგიღებს ბოლოსაო! და აი, ასრულდა მათი წინასწარმეტყველება: ჩრდილოეთის სუსხიანმა ჰაერმა და გამდმებულმა შრომამ მოგისპო სიციცხლე და დღეს ვხედავთ ხატად დუთასად დაბადებულსა შვენაეკებასა შენსა შეურაცხად, უხატაოდ და უსახურად!

მაგრამ მიმოიხედე გარეშემო, აღექსან დრევე, და დაინახე ეს დიდებული სანახაობა: გვირგვინები, ლენტები, და ბრწყინვალე შეკრებულება მღვდელთა და ერთა! რამ მოუყარა ყველა ამას აქ თავი? რა ამბავია? ნუ თუ შენმა თანამემამულეებმა შევიგნით ჩვენი შეცდომა, უკუვაგდეთ ჩვეულებრივი გულცივობა და აღვიარეთ სათაყვანებლად შენი წმიდათა წმიდა? ნუ თუ შენმა ჩვენში ჩამოსწლამ გავგიღიძა მიფერფლილი სიყვარული სამშობლოსადმი, აღვიძრა სურვილი შევისწავლოთ შენგან მამაპაპათა თავგადასავალი, მათი ნაღვაწ-ნამუშაური და განგვსჭვალა მტკიცე გადაწყვეტილებით შეუერთდეთ მათ ცოდნისა, შრომისა და რწმენის კავშირით? უფაღმა აკურთხოს, მაშ, შენი აქ მოსვლა! გადამოიხადე ზეცათ, დქეთთა, და სხაღე და მოსედე გენახსა ამას, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამს შენმან!

გარნა ნუ მიწყენ, ჩვენთ უწყინარო აღექსანდრევე, ამ შენთან უკანასკნელად გამოსაღების დღეს ერთი რამ კიდევ მოგახსენო. მე მომსწრე ვარ გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაბრიელ

სპისკოპოსის და ილია ქაეკავაძის დასაფლავებისა! იცი, რა პატივით და ღირსებით მივასვენეთ ეს ჩვენი ქვეყნის მნათობნი საფლავის კარამდე? მერმე? მერმე ისა, რომ დღეს აღარც მათი საფლავები გვახსოვს, და ვეღარც მათ თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა მოვახერხეთ,— ვერ მოვიცალეთ! ქეშმარიტად, ზრუნვამან ამის სოფლისამან და სანჯღურმან სიმდადრასამან შესთვეს (მატ. 13, 22) ჩვენს გონებაში მათი ხსოვნა და გულში კიდევ მათი სიყვარული! მაშ, ნუ დაგვიძრახავ, მრავალი ქირის დამთმენო (2 ტიმ. 2, 3) ალექსანდრევე, თუ მეორმოცე დღეს შენი გარდაცვალებისათიოდე ქართველის მეტმა ვერ გინახულოს, ხოლო წლის თავზე ოცზე მეტმა ვერ მოვიცალოთ ღირსებში მოსასვლელად! ნურც იმისთვის დაგწყდება გული, თუ შენს თხზულებათა მეორედ გამოცემამდე დიდმა დრომ განვლოს, ჩვენ ჯერ კიდევ მოუზადებლები ვართ ნამდვილის მოქალაქობრივის ცხოვრებისათვის!

შეგვიჩვენე, ჩვენო ტკბილო ალექსანდრევე, და მერწმუნე, რომ ეს გარდამავალი ხანა აღრე თუ გვიან გაივლის, რომ მოვა სხვა დრო, დრო თავის შეგნებისა და მაშინ შენს ნაშრომნაწერსაც დააფასებენ, დრო, ოდეს შენ მიერ დათესილი თესლი აღმოცენდება და აღარძინდება (მარკ. 4, 27) და გამოიღებენ ნაყოფსა რომელამე ახსნა, რომელამე სამეოცსა და რომელამე ოცდა ათსა (მატ. 13, 23). მაშინ შენს საფლავსაც მოსძებნიან, შენს ნაწერსაც გამოსცემენ, და ლითონისა და ყვავილების გვირგვინების მაგიერ მოგიძღვნიან სიყვარულისა და მადლობის თაიგულსა. მანამდე კი განისვენე შენის სასო ღვთისმშობლის საფარველის ქვეშ და თავი იჩუგე შენის წილის პავლე მოციქულის სიტყვებით: *ღვწელი კეთილია მომადგაწებიაეს, სრამა აღმისრულებიაეს, სარწმუნოებაჲ დაშიმარხაეს, და მამულისა შე გვიარგვანი, რომელი მამუკეს შე მართალმან მან მსაჯულმან.* ამინ.

აკმ. პ. ტინცაი.

ჩვენი საზოგადოების საეკონომიკური მდგომარეობა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნუ თუ რომელსამე ქართველს მოუვიდოდა ახრათ მოსწრებულები იმ დროს, როდესაც დაუვიწყარ სამაგალითო საშობლო შეიქმნა— დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ; მისი უკვდავი ანდერძი „სულის“ ამარად გახდებოდა. განა ერთის მხრივ არ ედებოდა ამის ბრალი ჩვენი საზოგადოების გულგრილობას, მის საქმის დაუდევრობას და და უმადურობას? აბა თუ ვინმემ მიაქცია ყურადღება, დაუვიწყრად და გამოსთქვა სურვილი მხარის დაუქვრლად დაეხსიათებინა ჩვენთვის ის უთანხმოება, რომელიც ასტყდა პატივცემულ დავითის მეუღლის და დანარჩენი მემკვიდრეების შორის. ამ უთანხმოებას არა აქვს კერძო ხასიათი, იგი საზოგადოებრივია და ამიტომაც ჩვენს საზოგადოებას უნდა თავისი აზრი გამოეთქვა.

ყველამ კარგათ იცის დავით სარაჯიშვილის ანდერძის შინაარსი; ყველასთვის ნათლადაა, რომ ეს უკვდავი ადამიანი, როგორც თავის სიცოცხლის დროს, მხოლოდ თავის ერისათვის იყო თავ-გადადებული, მხოლოდ მისი ბედნიერებისათვისა და წარმატებისათვის ზრუნავდა და საერთო მამა იყო ყველა გაჭირვებულ ქართველისა, ისე სიკვდილის შემდეგ უნდოდა მას არ მოეკლო ეს ზრუნვა თავისი ერისათვის და ყველა საუკეთესო საქმისათვის ხელი გაეშვარა. თავისი გონიერულ და შორ გამაქრიახი სურვილით მან დაუმტკიცა თავის მშობელ ერს თავისი საუკეთესო შეილობა. მან დაუტოვა ქართველ წერა-კითხვის გამავრცებელ საზოგადოებას, როგორც გაგებულა 300,000 მანეთი (აქედან 150,000 მანეთი ქართულ მუზეუმის აშენება-მოწყობისათვის), თავის ქარხნის მუშებ-მოსამსახურეთ 125,000, ტფილისის პირველ გიმნაზიას 10,000 მან. ტ. სემინარიას 5,000 მანეთი. გარდა ამისა როგორც ტფილისის მოქალაქემ, მან არ დასტოვა თავისი დედა-ქალაქიც უყურადღებოდ. პატივცემულმა გამოეთქვა თავის მეუღლეს ეკატერინეს სურვილი, გადაეცა ქალაქ ტფილისისა.

თვის თავისი მშვენიერად შემკული სასახლე სურათების და სამრეწველო-ნამუშავარის სამუხეუმოდ. განა ამ სამაგალითო ანდერძს შეიძლება სხვა სახელი დავარქვათ, თუ არა დიდებული კულტურული, საზოგადოებრივი და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე. განურჩევლად ერებისა ყველა თავს იხრის მისი? უკვდავი კვლის წინაშე... დაობლებული ეკატერინე ივანეს ასულს დსრჩა ერთად ერთი ნუგეში, ერთად ერთი ცხოვრების ნაპერწკალი—ეს, მოყვანა სისრულეში თავის მოსიყვარულე და დაუფიწყარ დავითის ანდერძი და მართლაც მიუხედავად თვისის მიძიმე ავადმყოფობისა მთელის ენერგიით და ჯანით შეუდგა მის განხორციელებას. ვინც იცნობდა დავით ზაქარიას ძეს თავის ეკატერინეთი, მათ მუდმივ ჰარმონიულ ცხოვრების და პირდაპირ საგანგებო კოლქმობის კავშირს, იგი დარწმუნებულიც იყო, რომ ეკატერინე ივანეს ასულში მან დასტოვა ღირსეული შემასრულებელი თვისის ანდერძისა.

მაშ რა ამბავია, რომ ეს უკვდავი ანდერძი დღეს სასამართლოში გადადის. ვინ შეუშალა ხელი ამ პატივცემულ ადამიანს მის შესრულებაში? თურმე არ მოეწონათ დანარჩენ-ზოგ შემკვიდრებებს სასახლის ტფილისისათვის გადაცემა—ამ დიდებულ აზრის განხორციელება. (მეტად ვსთვლი განუმარტო განსვენებულის სურვილის მნიშვნელობა მათ, რომელნიც თავდაპირველად დაუფიქრებლობის გამო ვერ მიხვდნენ ამ ანდერძის ნაწილის ღრმა აზრს და კრიტიკით შეჰმოსეს). რადგან ეს სასახლე მამა-პაპურ ადგილ-მიწაზედ არის აშენებული და ანდერძის ძალით მთელი მამა-პაპული ქონება დავით სარაჯიშვილის დებსა და მათ შვილებზედ უნდა გადასულიყო, ამიტომ განსვენებულმა ალუთქვა თავის მეუღლეს ამ ადგილის ნაცვლად გადაცა შემკვიდრებისათვის 100,000 მანეთი (ერთი-ორად დაფასებული). ამით ისინი არ კმაყოფილდებოდნენ და არ უნდოდათ სასახლის დანებება. ეკატერინე ივანეს ასულმა ყოველი ღონისძიება ახმარა დაეკმაყოფილებია მომდურაენი და, როგორც

ზოგსაც აქვს ვაგონილი, 50 თუ 60,000 მანეთს ზედ მეტს აძლევდა, მაგრამ მაინც ამაოდ. ამ ამბავმა იქამდის მიიყვანა და გაამწევა მგლოვიარე ადამიანი, რომ იძულებული გახდა, რაკი მოპირდაპირენი არ თანხმდებოდნენ მშვიდობიანად საქმის გათავებას, სასამართლოსთვის მიემართა და მოეთხოვა თავის მხრიდანაც ამ შემთხვევაში მეშვიდედი ქმრის მთელი ქონებისა, როგორც ეს ჩვეულებრივი კანონია. ამით მთელი საძირკველი ამ წმინდა ანდერძისა ირღვევა და იმ ადამიანის სურვილი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლე მტკიცედ ადგა თავის გზას, მტკიცედ ემსახურებოდა თავის საქმეს, სამშობლოს საამაყოდ, მის განსვენების შემდეგ, მისვე მახლობლებისვე წყალობით, ეს სურვილი შეუსრულებელი რჩება.

ნუ თუ გულგრილად უნდა უტკეროდეს ჩვენი საზოგადოება ამ სასირცხვილო ამბავს, ნუ თუ არ უნდა სკდილობდეს მხარი დაუქიროს მას, ვინც მიისწრაფის ამ სამაგალითო ქართველის საქმის გაგრძელებას, მის წმინდა წმინდის შესრულებას. ვინ იცის, საზოგადოებას რომ თავისი აზრი გამოეთქვა, ამ საქმეს ამისთანა მიმართულება არ მიელო და ვერც გაებედნათ დიდ მოამაგის სურვილის წინააღმდეგ წასვლა.

თითქოს ჰგრძნობდა ამას ჭკვიანი დავით ზაქარიას ძე, როდესაც ბერლინში უკანასკნელ უნუგეშო მღგომარეობის დროს გვიმეორებდა მის გვერდით დამსწრეთ: „ეჰ, მე მხოლოდ ეს საცოდავი დედაკაცი—ჩემი კატა მებრალება, სხვა არაფერია“. არ უმტყუნა ამ აზრმაც; საქართველოს დაუტოვა თვისი ძვირფასი მეუღლე, მისი საქმე გაეგრძელებინა და მას კი გადაუდგნენ სწორედ ისინი, რომლებსთვისაც ის არაფერს ზოგავდა და რომლებსაც „მისი სიტყვა—კნონი მყო“, როგორც თვითონ ამბობდა, სად არის ჩვენი საზოგადოების ხმა, სად არის მისი მორალური დახმარება?...

გიორგი მაჩაბელი.

### ზასუხად ბ. მოკეთეს.

გაზეთ „შინაურ საქმეების“ მე 33 ნუმერში მოთავსებულია წერილი ვილაც „მოკეთისა“ ამ სათაურით: სად მიდის საფირჩხიის სასაფლაოს შემოსავალი და რათ მართებს ეკლესიას ვალი? წერილის ავტორს, ბ. მოკეთეს რაღაც ორი კალმის მოსმა ადგილზე აუარებელი სიტყვები მოუთავსებია.

აი სიტყვის ნიმუშები! ბ. „მოკეთე“ (თუ მტერი?) სწერს: **დახამდვალეობით შეგვამდია ვსთქვათ** (ხაზს ჩვენ უსვამთ), რომ სასაფლაოს წელიწადში არა ნაკლებ სამი ათასი მანეთისა უნდა შეუდიოდეს. რომ ამ ვარაუდით ვიანგარიშოთ, სასაფლაოს არა ნაკლებ ოცდაათი ათასი მანეთისა უნდა შემოსვლოდა დღიდან სასულიერო მართებლობის ხელში გადასვლისა და ნუთუ ამდენი ფული არ ეყო ამ პატარა კოქობა ეკლესიას? ბ. მოკეთე ჰაერში ანგარიშობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსულიყო ან გაზეთის საშუალებით ზრდილობიანად შეგვეკითხოდა და სასაფლაოს ეკლესიის ნამდვილ მდგომარეობას გაეცნობოდა. გარწმუნებთ, რომ ჩვენ შემთხვევა არ გვექონია ეკლესიის შემოსავალ გასავლის გაცნობის შესახებ ვისმესთვის უარი გვეთქვას და არც მას ვეტყოდით, ხოლო გაზეთში ჩვენ თვითონ არ გამოგვიცხადებია, რადგან ეს არც ერთ ეკლესიას და, მაშასადამე, არც სასაფლაოს ეკლესიას წესად და სავალდებულოთ არ ქონია და არც აქვს. არსებითად კი „მოკეთის“ სიტყვებზე პასუხს ვაძლევთ ამ წერილის ბოლოში მოთავსებულ ეკლესიის შემოსავალ გასავლის ცხრილით<sup>1)</sup>.

ბ. „მოკეთე“ სწერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგი პატრონის ხელში ამ ეკლესიას ვალის აღება არ დასჭირდებოდა, რადგან თითქმის მთელი ქუთაისი აქ იმარხება და სასაფლაოს ფულიც ბლომად შესდის, დარწმუნებული ვართ კარგ კირისუფლის ხელში ეკლესია მალე გაისტუმრებს ვალს და თავის თავსაც მალე

გაიმშვენებს. თუ სხვა ქალაქების სასაფლაოს ეკლესიები მშვენიერი მორთულია და ფულიც აქვს, ჩვენმა სასაფლაოს ეკლესიამ რაღა დააშაფა? ბ. მოკეთეს სიტყვებიდან აშკარაა: სასაფლაოს ეკლესიას ცუდი პატრონი, უკეთ რომ ვსთქვათ, ცუდი პატრონები, რადგან მის შემოსავალ-გასავლის საქმეს განაგებს სამზრუნველო ნ პირისაგან შემდგარი, და უვარგისი კირისუფალი ყოლია. მერე რით, რომელი საბუთებით და ფაქტებით ამტკიცებს იგი ამ ბრალდებას? ამისთვის ბ. მოკეთე თავს არ იწუხებს, წამოისროლა ლიტონი სიტყვები: სასაფლაოს პატრონი არ ვარგა, კირისუფალი ცუდი ჰყავს, კარგი კირისუფლის ხელში (თვითონ თქვენს ხელში ხომ არა, ბ. მოკეთე?! ) გამშვენიერდება, გამდიდრდება; მორჩა და გაათავა.

სამზრუნველო ავტო 7 წელიწადია, სინილისიერად ზრუნავს და მოქმედებს სასაფლაოსა და სასაფლაოს ეკლესიის გამშვენიერება-განკარგებისათვის. ხოლო მისი წევრის მღვდელ-ბლალოჩინის თ. დუგლაძის თხოვნა-რჩევით სასაფლაოს ეკლესიას შეეწირა სხვადასხვა პირთაგან 400 მანეთზე მეტი ღირებული საეკლესიო ნივთები, რაზედაც მოხსენებული აქვს ყოვლადსამღვდელოს რაპორტით 1911 წლის 16 სექტემბრიდან № 331. ამ ბლალოჩინისავე რჩევით მოკლე დროში შემოვა შეწირულება ერთი პირისაგან 400 მ. ეკლესიის გასამშვენიერებლად. ესე ყოველივე უწყის ბ. მოკეთემ?

რაც შეეხება იმას რომ, სხვა ქალაქებში სასაფლაოს ეკლესიებს ბევრი ფული აქვთ და ჩვენმა რაღა დააშაფაო, ე. ი. არ ცოდნა იმისი, რომ ქალაქი ქალაქისაგან განირჩევა, რომ ქუთაისი, თბილისი, ბაჰუმი, ბაქო და სხვა ერთნაირნი არ არიან, რომ ჩვენს სასაფლაოს გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვს, ვიდრე სხვა დიდ ქალაქების სასაფლაოს ეკლესიებს, შეიძლება ეპატოს მხოლოდ უვიც კაცს, როგორც ბ. „მოკეთე“ ბრძანებულა. ჩვენ არ გვაკვირებს ბ. მოკეთის საქციელი, რადგან გვრწამს სულმნათი მგოსნის სიტყვები: „აესა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა და გულსა“. ჩვენ უფრო გვაკვირებს „შინაური საქმეების“ რედაქ-

<sup>1)</sup> შამა ბლალოჩინის „ცხრილი“ არ იბეჭდება და ვერც ვერავის შევკირდებით ანგარიშები უფასოთ უბეჭდოთ გაზეთში.

ტორის საქციელი, რომელიც სასულიერო ორგანოში ადგილს უთმობს ამგვარ აშკარა ცილის წამებით სავსე წერილს და მკითხველი უნებურათ შეცდომაში შეყავს<sup>1)</sup>.

საფირჩხის სასაფლავს სამზრუნველს წერილ-ხაზინადარი და ამავე სასაფლავს ეკლესიის წინამძღვარი მღვდელ-ბლადიმირი თომა ღუგლაძე.

მასწავლებლებს ჯამაგირისთვის სძირი მკ საჯარობა უქმძისთ.

1912 წლის დამდეგამდე იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განკარგულებით საეკლესიო სკოლების მასწავლებლებს ევალეობდათ ჯამაგირის მისაღებათ საბჭოს ხაზინადართან ქუთაისში გამოცხადება და მიღებისთანავე ვედომოსტებში ხელის მოწერა.

ენა ვერ გამოხსთქვამს და კალამი ვერ ასწერს იმას, თუ რამდენათ შემაწუნებელი შემავიწროებელი და სამძიმო იყო ასეთი დადგენილება; განსაკუთრებით რაქა-ლეჩხუმის და სვანეთის მასწავლებელთათვის, რომელთა, უიმისოთაც, მკირე ჯამაგირს ერთი ორათ ამცირებდა და აქარწულებდა შორეულ ქუთაისისკენ ხშირი მოგზაურობა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წეს-რიგი ჯამაგირის დარიგებისა თვით მასწავლებლების დანიშნულებასაც საგრძნობლად აჩერებ-აფერხებდა, საბჭომ მაინც წრევანდლამდის არ ისურვა მისი შეცვლა; წელს კი შემოიღო ახალი წესდება, რომლის ძალითაც მასწავლებლებს მახლობელ ფოსტაში ეგზავნებათ ყოველ-თვიური ჯამაგირი. მართალია, ამ ცვლილებით მასწავლებლებს მიეცათ მკირე-ოდენი შეღავათი, მაგრამ ნაკლია ამ ცვლილებისა მაინც ღირს შესანიშნაეია. სარჩულათ ამ ნაკლს უძევს საბჭოს დადგენილება, რომლითაც ევალეობათ მასწავლებლებს ჯამაგირის მიღებისთანავე იქვე საბჭოს რწმუნებულთან გა-

მოცხადება და ნელის მოწერა ვედომოსტში, რომელიც შემდეგისთვის ოც რიცხვამდე აუცილებლად ყველა ადგილობრივ მასწავლებელთან ხელმოწერილი უნდა გაბრუნდეს ქუთაისში. იმ შემთხვევაში კი, თუ რომელიმე მასწავლებელმა, ამა თუ იმ მიზეზისა გამო, ვერ მოახერხა ვადამდე ვედომოსტზე ხელის მოწერა, მაშინ მას მომავლისთვის ჯამაგირი აღარ ეგზავნება. ეს უკანასკნელი გარემოება კი ნებას არ აძლევს მასწავლებლებს მიამდონ ვისმეს ფულის გამოტანა, არამედ იძულებულ ყოფს მათ თვითონ გამოცხადდნ და მიღებისთანავე ხელი მოაწერონ ვედომოსტზე, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხშირათ საბჭოს რწმუნებულს ვერ ნახულობენ ფულის მიღების დღეს შინ და ამის გამო ერთი თვის განმავლობაში მეორემესამეთ სჭირდებათ მისი ძებნა; ამას უნდა მიუმატოთ ისიც რომ მანძილის სიდიდის გამო ზოგიერთი მასწავლებლები, ზამთრობით მაინც ოროლ დღესა რჩებიან გზაში და ამით კი თვით სწავლების საქმეც ბრკოლდება და მასწავლებლების ქესატ ჯიბესაც ზარელი ეძლევა.

ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ საბჭო ან სულ გაანთავისუფლებდეს მასწავლებლებს ვედომოსტებზე ხელის მოწერისაგან და საბუთათ ფოჩტის კვიტანციებს იკმარებდეს, ან არა და ყოველ თვიურ ვედომოსტს წლის დამდეგამდე მაინც შეაჩერებდეს რწმუნებულის ხელში, რომ მით შესაძლებელ-ყოს შორებელ მასწავლებელთათვის წლის დამდეგს ხსენებულ რწმუნებულთან გამოცხადება და ყველა ვედომოსტებზე ერთად ერთ დღეს ხელის მოწერა.

ვიმელოვნებთ, რომ საბჭო მიიღებს ზემოხსენებულ გარემოებას მხედველობაში და კეთილ-ინებებს ახლო მომავალში მასწავლებელთა სურვილის ასე თუ ისე დაკმაყოფილებას.

ცისკიდელო

<sup>1)</sup> ხვენ გეგონია რედაქტორი აქ არაფერ შუაშია და ცილისწამებაზედაც ტყუილა უკოყინებს ავტორი „მოკეთის“. საჭირო იყო შეტი დაკვირვებით წაეკითხა ავტორს „მოკეთის“ წერილი.



**საქვე კითხვების განმარტება.**

XX-სს ერთხელ არჩეული ბლალოჩინი რჩება ამ თანამდებობაში, სანამ მთავრობის მიერ დათხოვნილი არ შეიქნება. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამღვდლოებას ახალი ბლალოჩინის არჩევის ნება ეძლევა.

მღვდელი და მედავითნე იმ მღვდლის მრევლათ ითვლებიან, რომლის სამრევლოშიაც სცხოვრობენ. ამასთან მღვდელს არ ეკრძალება საჭიროების დროს სხვა მღვდელსაც მიმართოს, თუნდ ბლალოჩინსაც. ბლალოჩინს არც მღვდელზე და არც მედავითნეზე, რომელიც მის სამრევლოში არ სცხოვრობენ, როგორც მრევლზე ხელი არა აქვს.

**თავისუფალი ადგილები.**

ამ უამად დაკლილია მღვდლის ადგილები: ქუთაისის მაზრის სოფ. თერჯოლის ქაბუხტის ღვთისმშობლის ორშტატიან ეკლესიაზე (პირველ მღვდლის), რაჭის მაზრის სოფ. ქვედის ღვთისმშობლის ეკლესიაზე, შორაპნის მაზრის სოფ. უსახელოს წმ. გიორგის ეკლესიაზე და ღვინჯუმის მაზრის სოფ. ფაყის (გადმოღმა სვანეთი) ეკლესიაზე.

**წახილი ჩედაძეის მიმართ.**

**მამაო რედაქტორო!**

ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ზღუდისათვის კეთილინებეს და სიამოვნებით შემოსწირეს თავისი წელილი შემდეგმა პირებმა: ბარის სახალხო ორკლასიან სასწავლებლის გამგემ სანდრო ამირეჯიბმა 1 მან ამავე სააწავლებლის მასწავლებელმა დავით სუპატაშვილმა 50 კაპ., ბარის საზოგადოების მამასახლისმა სიმონ მკერვალიშვილმა 1 მან, ამავე საზოგადოების მწვერალმა პარმენ ზურდილიძემ 1 მან, გლეხმა ლუარსამ ელისესძე გიორგობიანმა 1 მან

და ფერშალმა იაკინთე მასხარაშვილმა 50 კაპ. სულ შეგროვდა ხუთი მანეთი, რომელ ფულსაც ამასთანავე გაახლებთ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ კუთვნილებისამებრ; შემომწირველთა ვინაობა კი თქვენის პატივცემულის გაზეთის „შინაური საქმეები“-ს ერთ-ერთ №-ში გამოაცხადოთ.

სამითის წმიდის გიორგის ეკლესიის

მღვდ. ივლიანე ჩლაიძე.

**მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ, მე და ჩემი მრევლის, ქვედა მალაქის მთავარანგელოზის შემავალის; სახელით გამოაცხადოთ შემდეგი: დღემდის ჩვენ ვღვდესასწაულობდით ეგრეთ წოდებულ ოქონობას, დღეიდგან კი დღესასწაულად ვიდებთ ჩვენი ეკლესიის პატრონის სახელობის დღეობას, ე. ი. მთავარანგელოზობას, **რვა ნოემბერს**. ამისათვის ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომლებიც ჩვეულებიან ოქონობას წვევას, ნუ მობრძანდებიან ამ დღესასწაულზე, არამედ მთავარანგელოზობას, 8 ნოემბერს, მობრძანდენ, და ისიც არა სმისა, კამისა, და ქეიფის მიზნით, არამედ ღვთის სავედრებულად, ნათესავების მოსანახავად ღქრისტიანულ სიამოვნებისთვის. ვთხოვთ ახლო-მახლო მღვდლებს გამოაცხადონ ეს ჩვენი სურვილი თავიანთ მრევლში.

მრევლის მონდობილებით მღ. იასონ ეორეოლიანი.

**მალღობის გამოცხადება**

**მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“, საშვალეებით უღრმესი მალღობა გამოუცხადო მე და ჩემი მრევლის მხრით, გარეშე სამრევლოთა მცხოვრებთ, რომელთა შემოსწი-

რეს რწმუნებულ ჩემდამო ჩორჯოს წმიდის სამების ახალ ეკლესიის შენობისათვის: თედორე სიმონისძემ იმედაძემ და მისმა მეუღლემ ეკატერინემ ხუთ-ხუთი თუმანი აგრეთვე ამათი შვიგონებით შემოწირეს შემდეგ პირთა: 1. ერმილე სპირდონისძემ იმედაძემ 3 მან. 2. ჰაველე გიორგისძემ იმედაძემ 1 მან. 3. სიმონ გიორგისძემ იმედაძემ 1 მან. 4. ლუკა დიმიტრისძემ პატარიძემ 1 მან. 5. ლავრენტი ალექსისძემ აბუთიძემ 1 მან. 6. დომენტი დიმიტრისძემ აბუთიძემ 50 კაპ. 8. მიხაილ ლევანისძემ აბუთიძემ 1 მან. 9. იასონ იორდანესძემ ჭელიძემ 1 მან. 10. ანთიმოზ იასონისძემ ჭელიძემ 1 მან. 11. ლონგინოს მამუჩარისძემ ყიფიანმა 1 მან. 12. ვეგენი ყარამანისძემ დალაქიშვილმა 1 მან. 13. სასონ ლაიშვილმა 1 მან. 14. აპოლონ სიმონისძემ ნამგალაძემ 1 მან. 15. \*კოსტა დვალმა 1 მან. 16. მიხაილ თედორესძემ ჩიტალაძემ 1 მან. 17. მალაქია ზაქარიასძემ მეტრეველმა 50 კაპ. 18. კოსტა კაციტაძემ 50 კაპ. 19. ანთიმოზა გომეჯიშვილმა 50 კაპ. 20. აპოლონ სოფრომისძემ ჯოხაძემ 50 კაპ. 21. იოსებ ომანისძემ რაზმაძემ 50 კაპ.

სოფლის ჩორჯოს წმიდის სამების ეკლესიის  
მღ. ერასტი გაბიჩვაძე.

**მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატრიარქული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემი მრევლის მხრით შემდეგ პირებს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ბაჯის წმ. გიორგის ეკლესიას: 1) მთავარ დიაკონმა ქუთაისის საკათედრო სობორისმა ისიდორე სვანიძემ ტრაპეზის შესამოსელი ღირებული ათი მანეთი ერთი პატარა კანდელი ღირებული ორი მანეთი და ორი ხატი მაცხოვრისა და ღვთის მშობლისა ღირ-2 მან. 2) გარდაცვალებულის ივანე გველესიანის შემკვიდრებმა ქ. ქუთაისში

გრიგოლ გველესიანმა და მელანია ლუარსაბის ასულმა გველესიანისმა ბაირალები ღირ. 25 მან. 3) ქ. ქუთაისში მცხოვ. პეტრე ალავეიძემ კრესამბელი, ღირებული 5 მან. 4) ქ. ქუთაისში მცხოვრებმა ნესტორ კიკაბიძემ ხალიჩა ღირებული სამი მანეთი. 5) სოფ. შარეულს მცხოვრებმა მაქსიმე ქარაზანიშვილმა ოღარი, სამკლავები, სარტყელი და სტიხარი ღირებული 15 მან. 6) სოფ. ბაჯს მცხოვრებმა სემინარ მასხარაშვილმა სასანთლე, ღირ. 10 მან. 7) მალაქია სალარაძემ ხატი ღირ. 5 მან. 8) სოფ. ქვიშარს მცხოვრებმა გიგო ყიფიანმა 1 მან. 9) სოფ. ლაღიშას მცხოვრებმა პორფირ მღვდელაძემ ერთი მან. და 50 კაპ. 10) სოფ. ტაშეთს მცხოვრებმა ფეოროსინე ევნადისამ 1 მან. 11) სოფ. ტაშეთს მცხოვ. ვეა ევნადისა 50 კაპ. 12) სოფ. ბაჯს მცხოვრებმა ივლიანე სვანიძე საცეცხლური, ღირებული 2 მან.

მღვდელი კოდრატი სოხაძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჟავლიჩა**.  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

**გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .**

\*\*\*\*\*  
\* \* \* \* \*  
\* \* \* \* \*  
\* \* \* \* \*  
\*\*\*\*\*

კახაკოვის ქუჩა, № 17.

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს  
ასრულებს დროზე და სუფთათ.

ფასება დაკლებულია.

დაიბეჭდა მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები  
იყიდება იქვე.

## ჩვენნი უკაფნი. (ქურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ ეპოქად ძმობის უკაფნი ბ. ი. კვიციანიძის ქურნალ-გაზეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალაგარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მკს. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვესლო მკურნალისა პანტელეი-მონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ვესტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვილთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთას-ვლა ჯოჯობეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
- 15) — ისე წილენელ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
- 18) ცოდქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრათი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაჭრილისა.
- 23) ცხოვრება ალექსი ღვთის კაცისა.
- 24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთ განმანათლე-ბელი.
- 27) წამება წმ. რაფდენისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რჩეული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) მესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ღამე აკალდამაში.
- 41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიაფას ვაჟიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულლერის აზრი მატერია-ლიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სიკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) მებაღე ფოცა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა მღმწ. ელასისა.